ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ს და ს N102-16

ქ. თბილისი 26.12.2016 წელი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მაია ქალიაშვილის სახით, შემდგომში - შემსყიდველი, ერთი მხრივ და **შპს „ბორან ლაითი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის ემზარი ქიტესაშვილის სახით, შემდგომში - მიმწოდებელი, მეორე მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ და შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – აპარატის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 20 დეკემბრის N10357-2 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებისათვის **ნათურების, სანათების და მათი დამხმარე ნაწილების შესყიდვა თანმდევი მომსახურებით, მონტაჟით (CPV 31500000) – შემდგომში საქონელი.**

2. **ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, მოცემულია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **- 4 452.77 (ოთხი ათას ოთხასორმოცდათორმეტი ლარი და 77 თეთრი) ლარს.**

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება და რაოდენობა მოცემულია **დანართ N1–ში - ფასების ცხრილი**, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.4 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ეროვნულ ვალუტაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.5 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურებს სასაქონლო ზედნადების და დღგ-ს ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან (თუ მიმწოდებელი დარეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად) - არაუგვიანეს 10 საბანკო დღის განმავლობაში.

2.6 მხარეებს შორის ანგარიშწორება მოხდება ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

3. **საქონლის შესაბამისობა**

3.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონლისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

3.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მიწოდებული საქონელი, ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

4. **საქონლის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1 საქონლის მიღება ხორციელდება მიმწოდებელი ორგანიზაციის ადგილსამყოფელის მიხედვით.

4.2 მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3 ამ ხელშეკრულების ძალით შესყიდული მიწოდებული საქონლის შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის საამართველოს უფროსი ან/და ამავე სამმართველოს ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი.

5. **მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) საქონლის მიწოდების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული პირობით;

გ) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება - **26.12.2016წ-30.12.2016წ პერიოდის განმავლობაში.**

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

დ) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოებების შესახებ;

ე) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2 მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

7. პასუხისმგებლობა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 1% არაუგვიანეს 5 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვევის დაუყონებლივ გამოსწორება.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს

7.3 წინამდებარე მუხლის 7.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირაგასმატეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ინსპექტირება

8.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მოწოდებული საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას შესაბამის ადგილზე ახდენს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის სამმართველოს უფროსი ან/და ამავე სამმართველოს ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება,თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი ----------

10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის <u>მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.</u>

10.2 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მოწოდების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია მისაღები საქონლის საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

10.4 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.6 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.7 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან ორი კვირის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.8 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მის. საქართველო, თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. №12, საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის ნომერი: 200 122 900, ბ/კ TRESGE 22.

---------- *მაია ქალიაშვილი*

მიმწოდებელი:

შპს „ბორან ლაითი", მის, საქართველო, თბილისი, ფონიჭალა, მარნეულის N44, სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშის ნომერი: GE 68 BG 0000 0008 7755 4900, საიდ. კოდი 206343492.

---------- *ემზარი ქიტესაშვილი*

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	31531000	ნათურა 4000k Linus LED T8 18W 1200mm 4000k double ended	ც	175	12.80	2 240.00
2	31531000	ნათურა 4000k Linus LED T8 9W 600mm 4000K double ended	ც	9	8.95	80.55
3	31531000	ნათურა 3000k Lin10-7785 Linus LED ნათურა სტანდარტული 7W E27 3000K	ც	10	7.10	71.00
4	31524100	სანათი LED panel 2*10W 30*60cm	ც	3	269.34	808.02
5	31532000	AR 111 3200K 12V	ც	12	44.10	529.20
6	31532000	Cata 12A ლედ ტრანსფორმატორი	ც	2	48.29	96.58
7	31524100	სანათი 6000k BL-LP-4200A Linus LED panel panther 42W 6000K	ც	6	104.57	627.42
					სულ ჯამი	4 452.77

შემსყიდველი:

მაია ქალიაშვილი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

ემზარი ქიტესაშვილი

ბ.ა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

26 დეკემბერი 2016 წელი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის („ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“) შესაბამისად ვადასტურებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლები ქვემოაღნიშნულ მიმწოდებელთან, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

მიმწოდებელი: შპს „ბორან ლაითი“

ხელშეკრულება ს და ს N102 –16

მაია ქალიაშვილი		დავით საჯაია	
შალვა ჯულაყიძე		დეა ქვრივიშვილი	
ფიქრია კვერნაძე		გიორგი შავგულიძე	
კახაბერ სახელაშვილი		ხატია ამილახვარი	

N 10357-2

20/12/2016

საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ გიორგი
სეთურიძეს

ამავე დეპარტამენტის აპარატის
უფროსის დეა ქვრივიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ რომ, დეპარტამენტის შენობაში ნაწილობრივ მწყობრიდან არის გამოსული განათების სისტემა, რომლის აღდგენაც შიდა რესურსების ხარჯზე შეუძლებელია.

დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის ნორმალური სამუშაო პირობების შესაქმენელად გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს გააფორმოს ხელშეკრულება აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

დეა ქვრივიშვილი

სამმართველოს უფროსი

აპარატი